„ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის ინტერაქცია, როგორც სოციალური ურთიერთობა: ChatGPT-თან ურთიერთობის გამოცდილების ფენომენოლოგიური კვლევა“

ანა მახარაშვილი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

აკადემიური ხელმძღვანელი: ლევან თარხნიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა მახარაშვილი

თარიღი 20.06.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი, „ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის ინტერაქცია, როგორც სოციალური ურთიერთობა: ChatGPT-თან ურთიერთობის გამოცდილების ფენომენოლოგიური კვლევა“, იკვლევს ტექნოლოგიისა და ადამიანის ურთიერთობის ახალ, პარადოქსულ ფენომენს გვიანდელი მოდერნულობისა და სოციალური ცხოვრების გაციფრულების კონტექსტში. კვლევის მიზანია იმის დადგენა, თუ როგორ განიცდიან და რა მნიშვნელობას ანიჭებენ მომხმარებლები ChatGPT-თან ინტერაქციას, რა პირობებში ხდება AI-ს ანთროპომორფიზაცია და იწვევს თუ არა ეს პროცესი ტრადიციული სოციალური კავშირების ტრანსფორმაციას ან მათ ჩანაცვლებას ხელოვნური ინტელექტით. ნაშრომი ეფუძნება ალფრედ შუტცის ფენომენოლოგიურ სოციოლოგიას, ირვინგ გოფმანის დრამატურგიულ პერსპექტივასა და პიერ ბურდიეს სოციალური პრაქტიკის თეორიას. კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდოლოგიით, სიღრმისეული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების საშუალებით, რაც საშუალებას იძლეოდა, გამოვლენილიყო მომხმარებელთა სუბიექტური გამოცდილებები და მნიშვნელობის კონსტრუირების მექანიზმები ყოველდღიურ ცხოვრებაში. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ChatGPT-თან ინტერაქცია ქართულ სოციალურ კონტექსტში აღარ წარმოადგენს მხოლოდ ფუნქციურ, ინსტრუმენტულ გამოყენებას, იგი იძენს სოციალური გამოცდილების ფორმას, სადაც მომხმარებლები ტექნოლოგიას ანიჭებენ ემოციურ, ინტერსუბიექტურ მნიშვნელობებს. მომხმარებლები კონსტრუირებენ AI-ს, როგორც უსაფრთხო, არაკრიტიკულ სივრცეს, რაც მათ საშუალებას აძლევს, დაძლიონ სოციალური იზოლაცია და მარტოობა. თუმცა, აღნიშნული ინტერაქცია აჩენს ციფრული გაუცხოების რისკებს და საჭიროებს სოციოლოგიური პარადიგმების გადააზრებას ადამიანისა და ტექნოლოგიის ურთიერთობის ამ ახალი, ტრანსფორმირებული ფორმის გასააზრებლად. ნაშრომში გამოიკვეთა, რომ AI არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური საშუალება, არამედ წარმოადგენს აქტიურ სოციალურ აქტორს, რომელიც ცვლის ჩვენს დამოკიდებულებას სოციალური სამყაროსა და „სხვის“ (the Other) მიმართ.

საძიებო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ChatGPT, სოციალური ურთიერთობა, ფენომენოლოგია, ანთროპომორფიზაცია, ციფრული გაუცხოება, ინტერსუბიექტურობა.

Abstract

The following study: "Human-AI Interaction as a Social Relationship: A Phenomenological Study of the Experience of Interacting with ChatGPT," explores the new and paradoxical phenomenon of human-technology interaction in the context of late modernity and the digitalization of social life. The study aims to determine how users experience and assign meaning to their interactions with ChatGPT, under what conditions AI anthropomorphism occurs, and whether this process triggers a transformation of traditional social ties or their replacement by artificial intelligence. The work is grounded in Alfred Schütz's phenomenological sociology, Erving Goffman's dramaturgical perspective, and Pierre Bourdieu's theory of social practice. The research was conducted using a qualitative methodology, through in-depth, semi-structured interviews, which allow for the identification of users' subjective experiences and the mechanisms of meaning construction in daily life. The results of the study show that in the Georgian social context, interaction with ChatGPT is no longer merely a functional, instrumental use, it acquires the form of a social experience where users assign emotional and intersubjective meanings to the technology. Users construct AI as a "safe," non-critical space, which allows them to overcome social isolation and loneliness. However, this interaction raises the risks of digital alienation and requires a rethinking of sociological paradigms to understand this new, transformed form of human-technology relationship. The work revealed that AI is not only a technological tool, but an active social actor that changes our attitude towards the social world and “the Other".

Keywords: Artificial Intelligence, ChatGPT, social relationship, phenomenology, anthropomorphism, digital alienation, intersubjectivity.